საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №275

18 ივლისი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 18 ივლისს 12:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, მარინა მუსხელიშვილი, ქეთევან მსხილაძე, ლელა გაფრინდაშვილი, გიორგი კოხრეიძე და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომას არ ეწრებოდა: ნათელა სახოკია. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

2. სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სახელზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წამოდგენილ სააპელაციო საჩივარზე გადაწყვეტილების მიღება.

3. მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავჯდომარის მოწვევით ესწრებოდნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბართაშვილი და მისი მოადგილე ფინანსების დარგში კახა სონიშვილი, აჭარის საზოგადობრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი იოსებ სტურუა, მაუწყებლის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი ელენე მიხაილოვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ, წერილობით წარმოდგენილია მაუწყებლის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი. მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვა სამეურვეო საბჭოს რამოდენიმე სამუშაო შეხვედრებზე მიმდინარეობდა. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დამსწრე წევრებს, ხომ არ სურდათ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რაიმე კითხვის დასმა ან მოსაზრების გამოთქმა. საბჭოს წევრებმა, აღნიშნეს, რომ სამუშაო შეხვედრებზე მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლების მხრიდან, მაუწყებლის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოთ ხსენებულ საკითხზე მაუწყებლის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მეორე საკითხი

მეორე საკითხთან დაკავშირებით, გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ 2014 წლის 23 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილი სააპელაციო საჩივარის განხილვას, საბჭოს 2014 წლის 12 ივლისის სხდომაზე, საჩივრის წარმომდგენი არასამთავრობო ორგანიზაციების წამომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც გამოთქვეს საკუთარი მოსაზრება და დააფიქსირეს თავიანთი მოთხოვნა. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრებმა საკითზე მსჯელობა სამუშაო შეხვედრებზე განაგრძეს, საბჭოს წევრების მოსაზრებების შეჯერება, ზემოთ ხსენებული საჩივრის ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმდინარე სხდომაზე მაუწყებლის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტის დადგენილებითი ნაწილი წაიკითხა. საბჭოს წევრებმა: მარინა მუსხელიშვილმა, ქეთევან მსხილაძემ, ლელა გაფრინდაშვილმა და გიორგი კოხრეიძემ გამოთქვეს თავიანთი მოასაზრებები წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით. საკითხზე საბჭოს წევრების მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოთ ხსენებულ საკითხზე მაუწყებლის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული გადწყვეტილების პროექტი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ექვსი წევრიდან ოთხმა დაუჭირა მხარი, ორმა წევრმა ქეთევან მსხილაძემ და ლელა გაფრინდაშვილმა გადაწყვეტილების პროექტის მეორე პუქტს მხარი არ დაუჭირეს. (მიღებული გადაწყვეტილება და საბჭოს ორი წევრის: ქეთევან მსხილაძის და ლელა გაფრინდაშვილის წერილობითი განმარტება საკითხთან დაკავშირებით, ოქმს თან ერთვის).

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა. საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ. (2014 წლის 18 ივლისის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე — გრიგოლ გოგელია

სხდომის მდივანი — ირინე ზაქარიაშვილი